

31.07.2017

თსს აკადემიის რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი აცხადებს მიღებას 2017-2018 სასწავლო წლისათვის შემდეგ სადოქტორო პროგრამებზე:

1. **სახელოვნებათმცოდნეო კვლევები** - 6 ადგილი
პროგრამული კონცენტრაციები:
 - შუა საუკუნეების ქართული ხელოვნება (ხელმძღვანელები: დიმიტრი თუმანიშვილი, ანა კლდიაშვილი) - 3 ადგილი
 - ახალი და უახლესი ქართული ხელოვნება (ხელმძღვანელები: ნინო ლაღანიძე, სამსონ ლეჟავა) - 3 ადგილი

2. **კულტურის კვლევები** - 2 ადგილი
პროგრამული კონცენტრაციები:
 - ქართული კულტურის იდენტობები (ხელმძღვანელი: ლიანა ანთელავა) - 1 ადგილი
 - თანამედროვე ინფორმაციული კულტურა (ხელმძღვანელი: ლელა ფირალიშვილი) - 1 ადგილი

კონკურსში მონაწილეობის უფლების მქონე პირები

დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს;

დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიეცეს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

პირველი ეტაპი: რეგისტრაცია

დოქტორანტურაში ჩაბარების მსურველებმა 2017 წლის 1 აგვისტოდან 23 აგვისტოს ჩათვლით უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

- განცხადება დეკანის სახელზე;
- განმცხადებლის ავტობიოგრაფია (CV);
- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის დამოწმებული ასლი;
- პირადობის ასლი;

- სამოტივაციო წერილი, რომელშიც დასმული იქნება საკვლევი პრობლემა და მოცემული იქნება კანდიდატის ხედვა მისი გადაჭრის გზებზე;
- სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის შუამდგომლობა სათანადო დასაბუთებით;
- სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის დასაბუთებული შუამდგომლობა
- 3 წლის სამუშაო გამოცდილება (შრომითი ხელშეკრულება ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი). უპირატესობა მიენიჭება შერჩეულ სფეროში პროფესიულ გამოცდილებას;
- **უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი*** ასლთან ერთად ან აკადემიის მიერ ორგანიზებული უცხო ენის გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი მოწმობა;

მეორე ეტაპი: გამოცდა უცხო ენაში ჩატარდება 2017 წლის 6 სექტემბერს.

აკადემიის მიერ ორგანიზებული უცხო ენის გამოცდა ჩატარდება თსუ-ში. უცხო ენის გამოცდის შედეგები გამოქვეყნდება თსუ-ს ვებ-გვერდზე.

მესამე ეტაპი: პრეზენტაცია

2017 წლის 15 სექტემბრიდან 20 სექტემბრამდე ჩატარდება

გასაუბრება/პრეზენტაცია იმ კანდიდატებთან, ვინც წარმატებით დაძლია უცხო ენის გამოცდა.

დოქტორანტობის კანდიდატი ფაკულტეტის საბჭოს წინაშე წარადგენს პრეზენტაციას საკვლევი თემის პრობლემატიკის შესახებ. გარდა პრეზენტაციისა დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს ესე, არა ნაკლებ 15 გვერდისა**.

გასაუბრების შედეგები გამოქვეყნდება 2017 წლის 25 სექტემბრამდე.

გასაუბრების შედეგად გამოვლენილი წარმატებული კანდიდატები, აკადემიაში სწავლის გაგრძელების სურვილის დასადასტურებლად და ხელშეკრულების გასაფორმებლად უნდა გამოცხადდნენ რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის დეკანატში (მის: ზუბალაშვილების ქ. #47, ახალი კორპუსი, ოთახი N309) 1 ოქტომბრიდან 7 ოქტომბრამდე.

შენიშვნა: ზემოთ აღნიშნული საბუთების წარმოდგენის გარეშე კანდიდატი ვერ გააფორმებს ხელშეკრულებას, თსსა-სთან სადოქტორო პროგრამებზე ჩასარიცხად.

დოქტორანტურაში სწავლის მსურველები დაგვიკავშირდით:

თსსა რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის დეკანატში.

მის: ზუბალაშვილების ქ. #47, ახალი კორპუსი, ოთახი N309;

ტელ. 2 999 216;

საკონტაქტო პირი: ნინო კოპაძე (593 22 41 51)

nino.kopadze@art.edu.ge

*სერტიფიკატების ჩამონათვალი

სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს გერმანული, ინგლისური ან ფრანგული ენის B2 (ALTE) დონეზე ცოდნას, ათვისუფლებს კანდიდატს ამ ენებში გამოცდისაგან. ასევე ამ ენებში გამოცდისაგან თავისუფლდებიან კანდიდატები, რომელთაც ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის კურსი აქვთ გავლილი აქვთ გერმანულ, ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე.

სერტიფიკატების ჩამონათვალი

<u><i>გერმანული ენა</i></u>	Goethe – Zertifikat B2
<u><i>ინგლისური ენა</i></u>	CEFR B2
	IELTS exam – 5
	BEC exam and CELS exam – Vantage
	Cambridge exam – FCE
	Pritman ESOL International
	TOEIC – 541
	TOEFL – 500 (paper - based) 173 (computer - based) 61 (internet - based)
<u><i>ფრანგული ენა</i></u>	Diplome de Langue Francaise (DL) (AF)
	Diplome d’Etudes en Langue Francaise DELF/B2 (CIEP)

1. ვისაც აქვს ჩაბარებული: Zertifikat Deutsch für den Beruf, DAF, Sprachdiplom Kultusminister
2. Konferenz, ZMP, Zentrale Oberstufenprüfung, Kleines/Grosses Deutsches Sprachdiplom, DSH უნივერსიტეტებისთვის თავისუფლდება გერმანულში გამოცდისაგან.

** ესეს შეფასების კრიტერიუმები

- საკვლევი თემის მკაფიოდ განსაზღვრა;
- კვლევის მიზნის მკაფიო ფორმულირება;
- სიახლე;
- თემის შესაბამისი საკვლევი მასალის მოძიება;
- კვლევის ზოგადი გეგმის მონახაზის არსებობა;
- კვლევის სავარაუდო მეთოდების განსაზღვრა;
- ესეს სიმწყობრე და ლოგიკური სტრუქტურა